ოქმი:**ო63. 6323235001**
თარიღი:**23/08/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ.სამტრედია 17 აგვისტო. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი , ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია,ნათია პაპავა, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი,ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე , გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია, შოვში მომხდარი სტიქიის გამო, სამაშველო ოპერაციაში მონაწილეებისათვის საკვები პროდუქტების შეძენა-მიწოდების უზრუნველყოფის შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (14 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (14 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო ინფორმაცია, შოვში მომხდარი სტიქიის გამო, სამაშველო ოპერაციაში მონაწილეებისთვის საკვები პროდუქტების შეძენა-მიწოდების უზრუნველყოფის შესახებ.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ტარიელ დვალიშვილი - ჩემი თხოვნაა, შოვში დატრიალებულ სტიქიასთან დაკავშირებით, შესაძლებლობის ფარგლებში, სურვილის მიხედვით,ფრაქციის წევრებმა მოვახდინოთ საკვები პროდუქტების უზრუნველყოფა სამაშველო ოპერაციაში მონაწილეთათვის.

ჩვენი ჩართულობა აუცილებელია, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი მაქვს.

ნუგზარ ჯამბურია - კარგი ინიციატივაა. ყველა მუნიციპალიტეტი იღებს მონაწილეობას და შეძლებისდაგვარად ჩვენც მოვიხადოთ მოქალაქეობრივი ვალი. მადლობა მინდა გითხრათ თითოეულ თქვენგანს გვერდით დგომისთვის.

მოგეხსენებათ საკრებულოს აპარატი, მსგავს საქველმოქმედო აქციებში ყოველთვის იღებს მონაწილეობას და დარწმუნებული ვარ ახლაც შეუერთდება ჩვენს გადაწყვეტილებას.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა (14ხმით) ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით და გამოხატეს მხარდაჭერა .

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი